

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიერო
ღონისძიებებისათვის - II ლოტი**

საპროექტო წინადადება

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 3500; გვერდის ველები: მინიმუმ 1,5 სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1, შრიფტი: Sylfaen; ზომა: 10.

შენიშვნა: სავალდებულოა ყველა ველის შევსება

პროექტის სახელწოდება ქართულად	ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის პირველი საერთაშორისო კონფერენცია და სეზონური სკოლა			
ღონისძიების ტიპი - მიუთითეთ ერთ-ერთი: სეზონური სკოლა, კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი	<input type="checkbox"/> სეზონური სკოლა <input type="checkbox"/> კონფერენცია <input type="checkbox"/> კონგრესი <input type="checkbox"/> ფორუმი <input type="checkbox"/> სიმპოზიუმი × კომბინირებული ღონისძიება (კონფერენცია და სეზონური სკოლა ერთად)			
ღონისძიების ჩატარების ადგილი (ქალაქი)	თბილისი			
პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა (თვეები)	5 დღე			
ღონისძიების ჩატარების პერიოდი	ღონისძიების დაწყების თარიღი:	14/09/2026	ღონისძიების დასრულების თარიღი:	18/09/2026
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	33150 GEL			
თანადაფინანსება (ლარი)	0 GEL			
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარი)	33150 GEL			
პროექტის ხელმძღვანელი სახელი, გვარი	ბესიკ დუნდუა			
აკადემიური ხარისხი	დოქტორი			
თანამდებობა	საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საჭოს წევრი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი			
წამყვანი ორგანიზაცია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი			
პროექტის თანახელმძღვანელი სახელი, გვარი (თანამონაწილე ორგანიზაციის შემთხვევაში)				
აკადემიური ხარისხი				

თანამდებობა	
თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

აბსტრაქტი

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიების — „ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის პირველი საერთაშორისო კონფერენციის და სეზონური სკოლის“ — ორგანიზებას, რომელიც გაიმართება თბილისში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2026 წლის სექტემბერში.

ღონისძიება აერთიანებს კონფერენციის და სეზონური სკოლის ფორმატებს და წარმოადგენს ინტერდისციპლინურ პლატფორმას, რომელიც ფოკუსირებულია მათემატიკური ლოგიკის, გამოთვლითი ლინგვისტიკის, ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების და, აგრეთვე, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის თანამედროვე მიმართულებებზე.

პროექტის ძირითადი მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო საზოგადოების ერთ სივრცეში გაერთიანება, ახალი ცოდნის გენერირების ხელშეწყობა და საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარება, განსაკუთრებით — ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის კუთხით, რაც, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მანუალური და ავტომატური სწავლის უნარებით აღჭურვილი თითქმის სრულყოფილი ქართული და აფხაზური კომპიუტერული „ტვინების“ შემუშავებას გულისხმობს.

ამასთან, აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ეს მიზანი პირდაპირ ეხმიანება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და სახელმწიფო-საბიუჯეტო დაფინანსებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025 წლის 15 მაისს ამოქმედებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიზნებს და, ასევე, პირდაპირ პასუხობს თანამედროვე ციფრული ეპოქის გამოწვევებს, რითაც, მთლიანობაში, პროექტი ხელს უწყობს ქვეყნის ციფრული სუვერენიტეტის დაცვასა და გაძლიერებას.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია პლენარული და თემატური სესიები, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი კვლევები ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის მიმართულებით.

პარალელურად, სეზონური სკოლა უზრუნველყოფს ინტენსიურ სასწავლო პროგრამას ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის დღეს მეტად აქტუალური ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიმართულებით და, შესაბამისად, მათ ჩართვას ადგილობრივ ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე კვლევებში.

პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ზემოაღნიშნული მიზნების ანუ ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნების გათვალისწინებით.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მაღალი რანგის უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერები, რაც უზრუნველყოფს ცოდნის გაცვლას და ახალი კვლევითი პარტნიორობების ჩამოყალიბებას.

ასევე, ღონისძიების ორგანიზებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ოკუპირებული აფხაზეთიდან საღონისძიებო პრობლემატიკით დაინტერესებული აფხაზი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფაზე, რაც ხელს შეუწყობს აფხაზური ენის დაცვასა და აფხაზური ენობრივი ტექნოლოგიებისა

და რესურსების განვითარებას. - ესაა მიზეზი იმისა, რომ ღონისძიების სამუშაო ენებია ქართული, აფხაზური და ინგლისური.

მოსალოდნელია, რომ პროექტის შედეგები მნიშვნელოვნად გააძლიერებს კვლევით აქტივობას ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის დღეს მეტად აქტუალური მიმართულებით, ხელს შეუწყობს ამ ინტერდისციპლინურ სფეროში ახალი თაობის მეცნიერების ფორმირებას და, ამასთანავე, შექმნის დღეს სამწუხაროდ გაუარესებული ქართულ - აფხაზური ურთიერთობების აღდგენის საფუძველს, რაც, იმედია, ქართულთან ერთად აფხაზური ენის დაცვის მიზნებით ქართველი და აფხაზი სპეციალისტების გრძელვადიან მშვიდობიან თანამშრომლობაში გადაიზრდება.

გარდა ამისა, იმედია, რომ ღონისძიება ხელს შეუწყობს როგორც ქართული და აფხაზური ენების დაცვის მიზნებით მოქმედი ერთი დიდი კვალიფიციური ჯგუფის შეკვრას, ისე ამ ჯგუფის აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში.

ასევე, იმედი გვაქვს, რომ ღონისძიება გახდება მდგრადი პლატფორმა, რომელიც მომავალშიც უზრუნველყოფს ზემოთ ხაზგასმულის მსგავსი ინიციატივების განვითარებასა და გაძლიერებას.

ამრიგად, საგრანტო პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ნაბიჯს საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის დაცვის და განვითარების ანუ, რაც იგივეა, საქართველოს სახელმწიფო ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებით და ხელს შეუწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და ინოვაციების ინტეგრაციას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

1. ღონისძიების სამეცნიერო ხარისხი

1.1. ღონისძიების სტატუსი, მიზანი და ამოცანები, პროგრამის შესაბამისობა მიზნებთან და ამოცანებთან

საკონკურსოდ წარმოდგენილი ინტერდისციპლინური ღონისძიება წარმოადგენს მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც აერთიანებს კონფერენციისა და სეზონური სკოლის ფორმატებს და მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფო ენების - ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის მიმართულებით მიმდინარე და, აგრეთვე, სამომავლოდ საწარმოებელი კვლევების გაფართოებასა და გაძლიერებას როგორც საქართველოში, ასევე ოკუპირებულ აფხაზეთში.

ამგვარად, ღონისძიების მამოძრავებელი მიზანია ტექნოლოგიური თვალსაზრისებით არასაკმარისად მხარდაჭერილი საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენის - ქართულის და ამავე ტექნოლოგიური თვალსაზრისებით კიდევ უფრო ნაკლებ მხარდაჭერილი საქართველოს მეორე სახელმწიფო ენის - აფხაზურის (აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე განთავსებული საინსტიტუტო პროექტი) სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პროცესების ხელშეწყობა და ამ გზით საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის დაცვა და განვითარება.

გარდა ამისა, ღონისძიების მიზანია მყარი სამეცნიერო პლატფორმის სახით შექმნას აკადემიური და პრაქტიკული სივრცე, სადაც მოხდება ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების განსავითარებლად, როგორცაა ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

ამას, გარდა სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის მე-3 ქვემუხლის გ) ქვეპუნქტისა (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=7>) ანუ, რაც იგივეა, სახელმწიფო ენის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ქვეპუნქტისა, გვავალდებულებს აგრეთვე კარს მომდგარი სრულყოფილი ხელოვნური ინტელექტისა და სრულმასშტაბიანი ციფრული ეკონომიკის ეპოქაში ქართული და აფხაზური ენების დაცვის და განვითარების გზით საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ვალდებულებები.

ღონისძიების ძირითადი ამოცანებია საერთაშორისო და ადგილობრივი, მათ შორის ქართველი და აფხაზი მკვლევრების ერთ სივრცეში გაერთიანება და სამეცნიერო დიალოგის წამოწყება და გაღრმავება, ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის ინტერდისციპლინური მიმართულებით ახალი კვლევების პრეზენტაცია და მათი კრიტიკული განხილვა ენობრივი რესურსების, ენობრივი ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის მიმართულების ზოგად კონტექსტში.

თუმცა, ჩვენი მიზნების გათვალისწინებით, ჩვენი ყურადღება უფრო მეტად იქნება აქცენტირებული ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსების, ქართული და აფხაზური ენობრივი ტექნოლოგიების, ქართულ და აფხაზურ ენებში ხელოვნური ინტელექტის და ქართული და აფხაზური ენებით ცოდნის ინჟინერიის მიმართულებით წარმოებულ კვლევებზე.

ეს ცხადია ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ქართველი და აფხაზი მეცნიერებისა და სტუდენტების მოზიდვასა და მათ ჩართვას ქართული და აფხაზური ენების დაცვისთვის აუცილებელი სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნით დღეს უკვე მიმდინარე და სამომავლოდ აუცილებლად გასაძლიერებელ კვლევებში, რაც, იმედია, ამავე მიზნებით სამომავლო საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობების საფუძვლებს შექმნის.

ღონისძიების პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან. მართლაც, კონფერენციის ნაწილი მოიცავს პლენარულ და თემატურ სესიებს, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი კვლევები ზემოთ ხაზგასმულ დღეს მეტად აქტუალურ ინტერდისციპლინურ სამეცნიერო სფეროში.

ამასთან, აღნიშნულის პარალელურად, სეზონური სკოლა უზრუნველყოფს მონაწილეებისთვის ინტენსიურ სასწავლო მოდულებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევრებისთვის ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ინტერესების გაღრმავებისა და განვითარებისთვის ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის დღეს მეტად აქტუალურ ინტერდისციპლინურ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში.

გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს ცოდნის სრულ ციკლს კვლევის შედეგების პრეზენტაციიდან მათი პრაქტიკულ გამოყენებამდე.

ამგვარად, ღონისძიება წარმოადგენს მდგრად პლატფორმას, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას, ახალი კვლევითი მეთოდების ფორმირებას და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში საქართველოს პოზიციების გაძლიერებას ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის დღეს მეტად აქტუალურ ინტერდისციპლინურ სფეროში.

1.2. ღონისძიების საერთაშორისო ცნობადობისა და მაღალი რანგის მეცნიერებისა და ინსტიტუციების ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმი

ღონისძიების საერთაშორისო ცნობადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს პროექტის ერთ ერთ ძირითად პრიორიტეტს, რაც მიღწეული იქნება მიზნობრივი საკომუნიკაციო სტრატეგიის, აკადემიური ქსელების ეფექტური გამოყენებისა და მაღალი რანგის საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობის გზით.

ღონისძიება თავიდანვე პოზიციონირდება როგორც საერთაშორისო პლატფორმა, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ გლობალური სამეცნიერო საზოგადოების აქტიური მონაწილეობისკენ.

საერთაშორისო ცნობადობის გასაზრდელად გამოყენებული იქნება მრავალარხიანი კომუნიკაციის მექანიზმები. ღონისძიების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება საერთაშორისო აკადემიურ პლატფორმებზე, მათ შორის შესაბამისი მიმართულებების სპეციალიზებულ ვებგვერდებსა და სამეცნიერო ქსელებში (საფოსტო სიებში). გამოყენებული იქნება ისეთი პლატფორმები, როგორც ResearchGate, Google Scholar პროფილები, აკადემიური ელ ფოსტის სიები და პროფესიული ასოციაციების საინფორმაციო არხები.

ამასთანავე, ღონისძიება აქტიურად გაშუქდება სოციალურ და არამხოლოდ სოციალურ მედიაში, რაც უზრუნველყოფს ფართო აუდიტორიის ჩართულობას და ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას.

განსაკუთრებული ყურადღებით შეირჩა პლენარული მოხსენებებისთვის მაღალი რანგის მეცნიერები, რომლებიც საქმიანობენ ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის ინტერდისციპლინურ სფეროში.

მოწვეული სპიკერები შეირჩნენ მათი აკადემიური მიღწევების, საერთაშორისო პუბლიკაციების და გავლენიანი კვლევითი საქმიანობის საფუძველზე. მათი მონაწილეობა, ცხადია, მნიშვნელოვნად აამაღლებს ღონისძიების ხარისხსა და საერთაშორისო რეპუტაციას.

მაღალი რანგის ინსტიტუციების ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროექტი ეფუძნება როგორც უკვე არსებულ, ასევე ახალი პარტნიორობების ჩამოყალიბებას. დაგეგმილია თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ლოგიკისა და ენის, ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების და, აგრეთვე, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის მიმართულებით.

ამ თანამშრომლობების ფარგლებში მოხდება ერთობლივი სესიების ორგანიზება, სპიკერების გაცვლა და სამომავლო კვლევითი ინიციატივების დაგეგმვა.

მნიშვნელოვანი მექანიზმია ღონისძიების მიზნების გათვალისწინებით საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის ფორმირება, რომელშიც შევლენ როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი მეცნიერები.

კომიტეტი გარდა ღონისძიების მიზნების მიღწევადობისა უზრუნველყოფს ღონისძიების აკადემიური ხარისხის კონტროლს, რეცენზირების პროცესის გამჭვირვალობას და პროგრამის მაღალი სტანდარტების დაცვას. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ღონისძიების სანდოობას საერთაშორისო დონეზე.

ასევე იგეგმება ღონისძიების მასალების გამოქვეყნება, რაც მოიცავს კონფერენციის ნაშრომებისა და სკოლის მოხსენებების კრებულების მომზადებას და მათ გავრცელებას შესაბამის სამეცნიერო ბაზებში. ეს ხელს შეუწყობს ღონისძიების შედეგების ხილვადობას და მათ გრძელვადიან გავლენას.

ამ ყველაფრით, იმედია, ღონისძიება გახდება პლატფორმა საერთაშორისო ქსელების გაფართოებისთვის, მონაწილეებს მიეცემა შესაძლებლობა დაამყარონ პროფესიული კავშირები, განიხილონ ერთობლივი პროექტები და ჩამოაყალიბონ ახალი კვლევითი კონსორციუმები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სფეროებში, სადაც ინტერდისციპლინური და საერთაშორისო თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის კომპლექსურ და ეფექტურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების საერთაშორისო ცნობადობის ზრდას, მაღალი რანგის მეცნიერებისა და ინსტიტუციების აქტიურ ჩართულობას და პროექტის მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

1.3. წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციისა და პროექტის ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან

პროექტს ჰყავს მხოლოდ წამყვანი ორგანიზაცია და ეს არის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, კერძოდ, ფონდში პროექტის წარმდგენი სტრუქტურაა ამ უნივერსიტეტთან არსებული „საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ (<https://institutes.gtu.ge/Institute/16>), რომელიც საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და საბიუჯეტო დაფინანსებით ამოქმედდა 2025 წლის 15 მაისს <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის 2025-2029 წლების საბიუჯეტო სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

ნებისმიერი სამეცნიერო პროექტის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვანწილად ეფუძნება მისი ძირითადი პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას, მრავალწლოვან სამეცნიერო გამოცდილებასა და თემატურ შესაბამისობას პროექტის მიზნებთან.

ამგვარად ის, რომ საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალი კონსტანტინე ფხაკაძე, მიხეილ რუხაია და ბესიკ დუნდუა უკვე წლებია ორგანიზებას უწევენ „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტის“ სექციას საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე¹ და, აგრეთვე, ის, რომ ისინი არიან სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრები,² სრულად ასაბუთებს, რომ პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი პერსონალის ამ წევრების კომპეტენცია მაქსიმალურად პასუხობს პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.

პროექტის ძირითად შემსრულებლებზე ამ ხედვას ამყარებს ის, რომ შალვა მალიძე, რომელიც აგრეთვე არის პროექტის კიდევ ერთი ძირითადი შემსრულებელი, არის სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი და, აგრეთვე, ის, რომ კონსტანტინე ფხაკაძის ხელმძღვანელობით 2020 წელს დაცული მისი სადოქტორო კვლევის ფარგლებში, რომელიც მან გაასრულა შოთა რუსთაველის ფონდის PHDF-18-1228 ერთწლიანი საგრანტო პროექტის „ქართული აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული უნივერსალური ჰკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“ მხარდაჭერით, შემუშავებულია მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების რიგ შემთხვევებში საცდელი, რიგ შემთხვევებში საცდელ-სამომხმარებლო, რიგ შემთხვევებში კი სამომხმარებლო ვერსიები (იხილეთ http://science.org.ge/bnas/t14-n3/06_Pkhakadze_Informatics.pdf და <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/2.pdf> მისამართებზე. განთავსებული სტატია და მონოგრაფიული ნაშრომი. აგრეთვე, იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/20.pdf> მისამართზე განთავსებული მისი სადოქტორო დისერტაცია).

პროექტის ძირითად პერსონალზე, კონსტანტინე ფხაკაძეზე, შალვა მალიძეზე, მიხეილ რუხაიაზე და ბესიკ დუნდუაზე, დამატებითი ინფორმაცია ძალიან მოკლედ წარმოდგენილია ქვემოთ. მიუხედავად ამისა, აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ აღნიშნულ ოთხეულს გააჩნია როგორც მაღალი ინდივიდუალური აკადემიური და სამეცნიერო მიღწევები, ასევე ძლიერი კოლაბორაციული გამოცდილება, რაც ქმნის მყარ საფუძველს პროექტის მიზნების ეფექტიანად მიღწევისთვის. მათი კომპეტენციების სინთეზი — თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, ლოგიკა და ენა, მათემატიკური ლოგიკა, ხელოვნური ინტელექტი და ცოდნის ინჟინერია, ენობრივი ტექნოლოგიები და რესურსები — სრულად შეესაბამება და, ამავდროულად, სრულად ფარავს პროექტის ინტერდისციპლინურ ბუნებას.

ამრიგად, პროექტის ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია, გამოცდილება და საერთაშორისო ჩართულობა უზრუნველყოფს ღონისძიების მაღალ სამეცნიერო დონეზე განხორციელებას და მისი შედეგების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

¹ ეს სექცია 2012 წელს დააფუძნა კონსტანტინე ფხაკაძემ და 2019 წლამდე ფუნქციონირებდა “ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის” სექციის სახელით. 2022 წლიდან “ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის” სექციას შემოუერთდნენ ბესიკ დუნდუა და მიხეილ რუხაია და ახლა უკვე მეხუთე წელია სექცია ფუნქციონირებს ბესიკ დუნდუას, მიხეილ რუხაიასა და კონსტანტინე ფხაკაძის თანახელმძღვანელობით.

² კონსტანტინე ფხაკაძე არის ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ინსტიტუტის ლოგიკის, ენის და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების ხელმძღვანელი; მიხეილ რუხაია არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ლოგიკის, ენის და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი, ამავდროულად ის არის თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და თსუ ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; ბესიკ დუნდუა არის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ლოგიკის, ენის და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი, ასევე ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი, ამავდროულად ის არის აგრეთვე თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სისტემური პროგრამირების განყოფილებისა და წინამდებარე საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი.

1.4. ადგილობრივი ინტრა და ინტერინსტიტუციონალური თანამშრომლობის ხარისხი - ღონისძიებაში ჩართული ინსტიტუციები და მათი როლი პროექტში

ნებისმიერი პროექტის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში ჩართული როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინსტიტუციებს შორის ეფექტიან თანამშრომლობაზე. ამასთან, საგრანტოდ წარმოდგენილი ღონისძიება ემყარება ინტრა- და ინტერინსტიტუციონალურ თანამშრომლობის მყარ საფუძველს, რომელიც აერთიანებს საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საერთაშორისო აკადემიურ პარტნიორებს.

პროექტის წამყვანი ორგანიზაცია არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიების ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, მათ შორის სივრცეს, ტექნიკურ რესურსებსა და ადმინისტრაციულ კოორდინაციას.

უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის, ცოდნის ინჟინერიისა და, აგრეთვე, ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

მათ შორისაა საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საგრანტო პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია, რაც, მთლიანობაში, უზრუნველყოფს პროექტის თემატურ შესაბამისობასა და ხარისხიან განხორციელებას.

გარდა ამისა, ადგილობრივი ინტრა-ინსტიტუციური თანამშრომლობა მოიცავს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებისა და დეპარტამენტების და, აგრეთვე, კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების კოორდინირებულ მუშაობას.

აღნიშნული უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ცოდნის გაზიარებას და მრავალდარგობრივ ინტეგრაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ღონისძიების ინტერინსტიტუციონალურ თანამშრომლობას, ის მოიცავს საერთაშორისო პარტნიორებს, მათ შორის ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან არსებულ აკადემიურ კავშირებს.

პროექტის მონაწილე მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობენ ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი კვლევითი ინიციატივების განვითარებას და ღონისძიების საერთაშორისო მასშტაბის გაზრდას.

პროექტში ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვა ქართული აკადემიური და სამეცნიერო ინსტიტუციები, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ასევე, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სადაც ასევე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი კვლევები მათემატიკურ ლოგიკაში, ხელოვნურ ინტელექტსა და კომპიუტერულ ლინგვისტიკაში.

აღნიშნული ინსტიტუციების მონაწილეობა უზრუნველყოფს მაღალი დონის სამეცნიერო კომპეტენციის ჩართვას პროექტში, რაც, ცხადია, გააძლიერებს ადგილობრივ აკადემიურ ქსელს.

საგრანტო ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი აკადემიური ქსელის ჩართულობისა და თანამშრომლობის პროცესს ხელს შეუწყობს აგრეთვე ის, რომ კონფერენციისა და სკოლის პროგრამული კომიტეტის თავმჯდომარე, კონსტანტინე ფხაკაძე, არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი და, აგრეთვე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერთა საბჭოს წევრი.

ეს ღონისძიების ორგანიზატორებს, საგრანტო პროექტის ძირითად პერსონალს, დამატებით საშუალებებს მისცემს ღონისძიების უმნიშვნელოვანესი მიზნებისა და შემადგენლების შესახებ ადგილობრივ აკადემიურ ქსელში ინფორმაციის ფართო და ინტენსიური გავრცელებისა, რაც ღონისძიების ინტერაინსტიტუციურ თანამშრომლობას მაქსიმალურად ნაყოფიერს გახდის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ქმნის პლატფორმას სხვადასხვა ინსტიტუციებს შორის მდგრადი თანამშრომლობის გადრეკებისთვის. ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალი პარტნიორობების ჩამოყალიბებას, ერთობლივი კვლევითი პროექტების ინიცირებას და სამომავლო აკადემიური კონსორციუმებისა და კლასტერების შექმნას საქართველოს სახელმწიფო ენების, ქართულისა და აფხაზურის სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანების სრული და ამომწურავი გადაწყვეტების მოძიების მიზნების გათვალისწინებით.

ამრიგად, წარმოდგენილი ინტრა- და ინტერინსტიტუციური თანამშრომლობა ქმნის ინტეგრირებულ, მრავალდარგობრივ და საერთაშორისო ქსელს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მიზნების ეფექტიან განხორციელებას, მაღალი სამეცნიერო ხარისხის შენარჩუნებას და მისი შედეგების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

1.5. ღონისძიებაში მონაწილე ძირითადი და პლენარული მომხსენებლების/ლექტორების სამეცნიერო ხარისხი და კომპეტენცია (key note speakers, plenary lecturers)

ღონისძიების სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხარისხის უზრუნველსაყოფად დაგეგმილია მაღალი აკადემიური რეპუტაციის მქონე უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერების მონაწილეობა როგორც პლენარული მომხსენებლების, ისე სეზონური სკოლის ლექტორების როლში.

ღონისძიების ფორმატი აერთიანებს კონფერენციისა და სეზონური სკოლის კომპონენტებს, რაც შესაძლებელს ხდის, ერთი მხრივ, უახლესი სამეცნიერო შედეგების წარმოდგენას, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდა მკვლევარებისა და სტუდენტებისთვის სისტემური და სიღრმისეული სასწავლო მოდულების შეთავაზებას.

თემატურად ღონისძიება მოიცავს მონტეგიუსულ ლოგიკას და ენას, ჩომსკისეულ ენასა და ავტომატებს, ბუნებრივი ენების ლოგიკას, ბუნებრივი ენების დამუშავებას, შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიასა და ფორმალურ მეთოდებს, სიმრავლურ და ფორმალურ სემანტიკებს, დესკრიფციულ და პრესკრიფციულ გრამატიკებს, გამოთვლით ენათმეცნიერებას, ცოდნის ინჟინერიას, სიმბოლურ გამოთვლებს, ხელოვნურ ინტელექტს, ენობრივ რესურსებს, ენობრივ ტექნოლოგიებს და მათ გამოყენებას ბუნებრივი ქართული და აფხაზური ენებისა და აზროვნების კვლევაში.

პლენარული მომხსენებლებისა და სკოლის ლექტორების ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებიან მატეას ბაასი, თემურ კუცია და ალექსანდრე მასხარაშვილი:

1. მატეას ბაასი არის ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკური ლოგიკისა და თეორიული კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული მკვლევარი, რომლის ძირითადი კვლევითი სფეროებია მტკიცებათა თეორია, ფორმალური ენის თეორია, მრავალმნიშვნელობიანი და ფაზი ლოგიკები, აგრეთვე ავტომატური დედუქცია. იგი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მოწვეული მომხსენებელია და მისი მონაწილეობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ღონისძიების ლოგიკურ-თეორიული კომპონენტის გაძლიერებისთვის;

2. თემურ კუცია, რომელიც ამავე დროს ღონისძიების ერთ-ერთი საკვანძო საერთაშორისო პარტნიორია, არის იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და გამოთვლითი ლოგიკის, დეკლარაციული პროგრამირების, ფორმალური მეთოდებისა და სიმბოლური ხელოვნური ინტელექტის სფეროში აღიარებული სპეციალისტი. მისი სამეცნიერო მიღწევები უკავშირდება უნიფიკაციის, განზოგადების, შეთანადებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების ალგორითმებს, რომელთაგან არაერთს

პრაქტიკული და ინდუსტრიული გამოყენებაც აქვს. კუციას მრავალწლიანი გამოცდილება საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებისა და სეზონური სკოლების ორგანიზებაში არსებითად აძლიერებს ღონისძიების როგორც სამეცნიერო, ისე ორგანიზაციულ კომპონენტს.

3. ალექსანდრე მასხარაშვილი, ილინოისის ურბანა შამპეინის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, რომელიც ღონისძიების კიდევ ერთი საკვანძო საერთაშორისო პარტნიორია, მისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად არის ჩომკისეული და მონტეგეიუსეული ლინგვისტიკის ანუ ლოგიკისა და ენის და ენისა და ავტომატების ღრმად განსწავლული და ფართოდ ცნობილი სპეციალისტი როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ საუნივერსიტეტო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეებში. გარდა ამისა, ჩორჩის λ-აღრიცხვაზე დამყარებული დასავლურ ლინგვისტურ მეთოდებთან ერთად ის ზედმიწევნით კარგად იცნობს შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიის საფუძველზე კონსტანტინე ფხაკაძის მიერ შემუშავებულ ლინგვისტურ მეთოდებს და მისეულ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლებს. უფრო მეტიც, მას არაუმნიშვნელო წვლილი აქვს შეტანილი ქართული ენისა და აზროვნების ამ ისტორიულად პირველი მათემატიკური თეორიის - ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების შემუშავებაში. ეს არაუმნიშვნელო მოცემულობა მას საშუალებას აძლევს იქცეს ხიდად ინდოევროპული ენებისთვის შემუშავებულ მათემატიკურ მეთოდებსა და ქართული ენისთვის შემუშავებულ მათემატიკურ მეთოდებს შორის, რაც, ცხადია, ორმხრივ მნიშვნელოვანია. აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ ალექსანდრე მასხარაშვილი მისი სტუდენტობიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად იყო და არის დაინტერესებული საქართველოს მთავარი სახელმწიფო ენის - ქართულის და, აგრეთვე, საქართველოს მეორე სახელმწიფო ენის - აფხაზურის ბედ-იღბლით, რისი პირდაპირი დასტური მის ადრეულ პუბლიკაციებთან ერთად ისიც არის, რომ ის, გარდა იმისა, რომ არის სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე განთავსებული პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი, აგრეთვე არის შოთა რუსთაველის ფონდის იმ PHDF-18-1228 ერთწლიანი საგრანტო პროექტის „ქართული აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“ ოფიციალური სამეცნიერო კონსულტანტი, რომლის მხარდაჭერით გასრულებული შალვა მალიძის სადოქტორო ნაშრომი განთავსებულია <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/20.pdf> მისამართზე.

გარდა უკვე დასახელებული ძირითადი მომხსენებლებისა და ლექტორებისა, ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის საზაფხულო სკოლაში ლექტორებად ჩართული იქნებიან ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. რომლებიც ამავედროულად არიან ახლადფორმირებული სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები. კერძოდ, სკოლის ლექტორები იქნებიან:

1. საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და სამეცნიერო ღონისძიების პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე, ბესიკ დუნდუა **სკოლის სტუდენტებისთვის წაიკითხვას 2 ერთსაათიან ლექციას „შესავალი ავტომატურ დედუქციაში“.**

ბესიკ დუნდუა არის სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლოგიკის ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ინსტიტუტის მხრიდან არჩეული სტუ სენატის წევრი. ის არის კომპიუტერული მეცნიერებების დოქტორი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებასა და აკადემიური თანამშრომლობების განვითარებაში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს კომპიუტერული მეცნიერებების თეორიულ საფუძვლებს, ლოგიკასა და გამოთვლადობას. დუნდუა აქტიურად თანამშრომლობს ევროპის, აზიისა და სხვა რეგიონების წამყვან უნივერსიტეტებთან, მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სეზონურ სკოლებში, ხოლო მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია შესაბამის საერთაშორისო გამოცემებში. ის, რომ მას აქვს ფართო გამოცდილება საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებაში, უზრუნველყოფს პროექტის ეფექტიან მართვასა და მაღალი ხარისხის განხორციელებას. ის არის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, მისი სამეცნიერო, აკადემიური, და

ორგანიზაციული აქტივობათა გათვალისწინებით, ის გამოაცხადა საუკეთესო ახალგაზრდა ქართველ ინფორმატიკოსად.

2. საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალი და სამეცნიერო ღონისძიების პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე ფხაკაძე სკოლის სტუდენტებისთვის წაიკითხავს 2 ერთსაათიან ლექციას „იმ ახალი სიტყვის შესახებ, რაც ქართულმა გვითხრა ფილოსოფიური, მათემატიკური და ენათმეცნიერული თვალსაზრისებით“.

კონსტანტინე ფხაკაძის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ლოგიკას, ენას, ხელოვნურ ინტელექტს, ცოდნის ინჟინერიას და, აგრეთვე, ქართულ და აფხაზურ ენობრივ რესურსებსა და ტექნოლოგიებს. ასევე, მის სახელს უკავშირდება ქართული ენისა და აზროვნების ბირთვული ნაწილის თითქმის იზომორფული მათემატიკური თეორიის ანუ. სხვა სიტყვებით, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების შემუშავება, რომელიც არის ქართული ენის ისტორიულად პირველი მონტეგიუს ტიპის მათემატიკური თეორია. ამასთან, ეს თეორია, მონტეგიუსგან განსხვავებით, ნაცვლად ჩორჩის λ-აღრიცხვისა ეყრდნობა შალვა ფხაკაძის აღნიშნა თეორიას. ამით მან საფუძვლები ჩაუყარა მათემატიკის ფარგლებში ღრმა ქართველოლოგიური ხასიათის კვლევებს. იგი არის მათემატიკური ლოგიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი, მიყვება ბუნებრივი ენების დამუშავების (NLP) საბაკალავრო და სამაგისტრო კურსები. ის არის ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების მიმართულებითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გასრულებული სამი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელთა მთავარი შედეგი არის 2013-2017 წლებში უკვე შემუშავებული თვითგანვითარებადი ქართულ-აფხაზური ინტელექტუალური ვებ-კორპუსი (<https://corpus.ge/>). 2003-2005 წლებში ის ხელმძღვანელობდა მის მიერვე შემუშავებულ და მრავალმხრივ მხარდაჭერილ თსუ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამას “კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებით მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში” (https://drive.google.com/file/d/1eS3_3krRT9Xwsp9PSOBTjR9XhTW4Hqqt/view?usp=sharing) და, აგრეთვე, ამ პროგრამის კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 2004 წელს მის მიერვე დაფუძნებულ ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაციას მათ გაუქმებამდე. 2011 წლიდან 2025 წლის 15 მასამდე ის იყო თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი.³ 2025 წლის 19 დეკემბრიდან ის არის სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედი სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ინსტიტუტის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების ხელმძღვანელი. ამავდროულად, ის არის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერთა საბჭოსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი. გარდა ამისა, 2019 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერითა და მისი ორგანიზებით ჩატარდა თბილისის პირველი საერთაშორისო სკოლა „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“ (<https://geobani.com/TbiLLAI>), რომელიც მიძღვნილი იყო შალვა ფხაკაძის (<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009469/>) დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს. ამასთან, 1995 წლიდან მოყოლებული ის არის ლოგიკისა და ენის მიმართულებით ორგანიზებული მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციის, საზაფხულო სკოლის, სემინარისა და ვორქშოპის ორგანიზატორი და მონაწილე. ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით მას დაფუძნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ჟურნალი და ჯგუფი. არის 2 პატენტირებული გამოგონების ავტორი და თანაავტორი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულია მათემატიკური ხასიათის ღრმა ქართველოლოგიური კვლევებით, რეიტინგულ ადგილობრივ და უცხოურ წყაროებში გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა როგორც მონოგრაფიები, ისე სახელმძღვანელოები. და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მისი ხელმძღვანელობით გასრულებული პროექტი (იხილეთ <https://rustaveli.org.ge/geo/tsarmatebuli-proeqebi-da-mecnierebi/kidev-erti-nabiji-mosaubre-kartuli-tvitganvitarebadi-intelektualuri-korpusisaken> მისამართზე) „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ ფონდის წარმატებულ პროექტად გამოაცხადა იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წელს ეს AR/122/4-105/14-17 პროექტი შეფასდა

³ 2021 წლამდე ცენტრი მოქმედებდა ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის სახელით.

როგორც „1. ქართული ენის დაცვის მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად; 2. აფხაზური ენის დაცვის მიმართულებით გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად.“

3. საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალი და სამეცნიერო ღონისძიების პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე მიხეილ რუხაია სკოლის სტუდენტებისთვის წაიკითხავს 2 ერთსაათიან ლექციას „შესავალი ხელოვნურ ინტელექტში: საიდან მოვდივართ და საით მივდივართ“.

ამასთან, მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ლოგიკას, მტკიცებათა თეორიას, ავტომატურ მსჯელობას და თანამედროვე ფორმალურ და აღწერით ლოგიკებს. მას წარმატებით აქვს დაცული სადოქტორო დისერტაცია ვენის ტექნიკურ უნივერსიტეტში და გარდა იმისა, რომ არის სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავდროულად არის თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მას აქვს საერთაშორისო კვლევითი გამოცდილება, მათ შორის პოსტდოქტორანტურის დონეზე საფრანგეთში, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო პროექტსა და კონფერენციაში. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია საერთაშორისო გამოცემებში, ხოლო აკადემიურ საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებთან მუშაობით. იგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს საბაკალავრო პროგრამას „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი“.

4. საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალი და სამეცნიერო ღონისძიების პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე შალვა მალიძე სკოლის სტუდენტებისთვის წაიკითხავს 2 ერთსაათიან ლექციას „ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსები და ტექნოლოგიები“.

ამასთან, შალვა მალიძე არის ინფორმატიკის დოქტორი და სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. მან მისი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 2020 წელს კონსტანტინე ვხაკაძის ხელმძღვანელობითა და შოთა რუსთაველის ფონდის PHDF-18-1228 ერთწლიანი საგრანტო პროექტის „ქართული აფხაზური ენებით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“ მხარდაჭერით. ამასთან, სადისერტაციო კვლევის ფარგლებში შეიმუშავა ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ანუ, რაც იგივეა, ქართულ-აფხაზური ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტები და გაუმჯობესა ამავე კორპუსის მანამდე არსებული რიგი განმავითარებელი ინსტრუმენტები. ამის შედეგია ის, რომ დღეს უკვე არსებობს მეტად მნიშვნელოვანი ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსების და ტექნოლოგიების რიგ შემთხვევებში საცდელი, რიგ შემთხვევებში საცდელ-სამომხმარებლო, რიგ შემთხვევებში კი სამომხმარებლო ვერსიები (იხილეთ http://science.org.ge/bnas/t14-n3/06_Pkhakadze_Informatics.pdf და <https://geoanbani.com/other/pdfs/aboutus/2.pdf> მისამართებზე. განთავსებული სტატია და მონოგრაფიული ნაშრომი და, აგრეთვე, იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/20.pdf> მისამართზე განთავსებული მისი სადოქტორო დისერტაცია).

ამასთან, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კომბინირებული სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში დასაორგანიზებელი თბილისის პირველი საერთაშორისო საზაფხულო სკოლით “ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი და ცოდნის ინჟინერა”, ჩვენ პატივს მივაგებთ ჩვენი მასწავლებლის პროფესორ ხიმურ რუხაიას ნათელ ხსოვნას მისი დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. - შესაბამისად ამისა, საზაფხულო სკოლის ფორმატში, მისი მოწაფე, თსუ ლოგიკისა და პროგრამების ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი, ლალი ტიბუა წაიკითხავს ლექციას “ხიმური რუხაია: მეცნიერი და მასწავლებელი”.

გარდა ამისა, ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი წინამდებარე პროექტისა არის ის, რომ საგრანტო კომბინირებული სამეცნიერო ღონისძიება ჩატარდება საქართველოს ციფრული სუვერენიტეტის დაცვისა და განვითარების კვირეულის ფარგლებში და მიძღვნილი იქნება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის საიუბილეო თარიღისადმი. - ამავდროულად, და რაც აგრეთვე

აუცილებლად ხაზგასასმელია: ამ მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებით⁴ ჩვენ პატივს მივაგებთ მივაგებთ წმინდა ნინოს შემდგომ საქართველოს კიდევ ერთი განმანათლებლის, უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთის და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, თანამედროვე ქართველი ერის დიდი მამის - ილია მეორის დიდ ღვაწლს დღევანდელი მართლმადიდებელი და მშვიდობიანი საქართველოს ღირსეული აწმყოსთვის.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საგრანტო პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების რეინტეგრაცია ქართულ სამეცნიერო-კულტურულ სივრცესთან, იგეგმება სხვა უცხოელი და ადგილობრივი, მათ შორის აფხაზი პლენარული მომხსენებლებისა და სკოლის ლექტორების ჩართულობა დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებებში, მხედველობაში გვაქვს როგორც კონფერენცია, ისე სკოლა.

ამ აქ აღნიშნული მიზნით, პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, ივლისის თვეში ამოქმედდება სამ ენოვანი (ქართული, აფხაზური, ინგლისური) ვებ-გვერდი. შესაბამისად ამისა, ღონისძიების სამუშაო ენები იქნება ქართული, აფხაზური, ინგლისური და ის ჩატარდება ჰიბრიდული ფორმით ანუ დაშვებული იქნება კონფერენციის მომხსენებლებისა და სკოლის ლექტორების მონაწილეობა დისტანციური საინტერნეტო საშუალებებით. - ჩვენთვის გასაგებია, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ შეიძლება მაინც ვერ შევძლოთ ღონისძიებაში აფხაზი მონაწილის/მონაწილეების ჩართვა. თუმცა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ მიზნებით პროექტის ფარგლებში გამზადებული სამენოვანი ვებ-გვერდი, რომელიც ღონისძიების დასრულების შემდეგაც უწყვეტად იქნება განთავსებული საინტერნეტო სივრცეში, სამომავლოდ მაინც იქცევა იმ პლატფორმად, სადაც ქართული და აფხაზური ენების დაცვისა და სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნებით დაინტერესებული ქართველი და აფხაზი სპეციალისტები ერთმანეთს შეხვდებიან.

ამგვარად, გარდა ზემოთ დასახელებული ძირითადი მომხსენებლებისა და ლექტორებისა, ასევე იგეგმება ღონისძიებაში სხვა უცხოელი და ადგილობრივი პლენარული მომხსენებლებისა და სკოლის ლექტორების ჩართვა, რომლებიც შეირჩევიან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ღონისძიების თემატიკის, სამეცნიერო ხარისხისა და პროექტის მიზნებთან შესაბამისობის საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთი სპეციალისტების მოწვევას, რომელთა კომპეტენცია უკავშირდება ქართული და აფხაზური ენების მათემატიკური მეთოდებით კვლევას, ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების განვითარებას და, აგრეთვე, ქართულ და აფხაზურ ენებში ცოდნის ინჟინერიისა და ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გაღრმავებას და განვითარებას, რაც, მთლიანობაში, აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანების სრული და ამომწურავი გადაწყვეტების მოსაძიებლად.

ანუ, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ: პროექტის ფარგლებში, როგორც ერთ-ერთი მთავარი მიზანი, დაგეგმილია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან აფხაზი სპეციალისტების ჩართვა პლენარულ მომხსენებლად და/ან სეზონური სკოლის ლექტორებად, რადგან: **პირველი ის, რომ** ეს ხელს შეუწყობს აფხაზური ენისა და აზროვნების მათემატიკური მეთოდებით შესწავლის დღეს ძლიერ საჭირო პროცესს და, აგრეთვე, ეს ხელს

⁴ ძნელია დღევანდელ საქართველოში მოიძებნოს ან სივრცე ან ადგილი სადაც ილია მეორეს არ ჰქონდეს თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობის სიტყვა ნათქვამი და ღვაწლი გაღებული! - ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც!!! - დასტურად იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/14.pdf> მისამართზე განთავსებული ნაშრომი „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის შემუშავების მიზნები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“, რომელიც მეუფე დავით ალავერდელის შეწვევითა და პატრიარქის კურთხევით გამოიცა 2009 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. - **ჩვენ ღრმად გვწამს შემდეგის:** 2009 წელს, სამების ტაძრის საკურთხეველში, პატრიარქს რომ არ დაელოცა და კურთხევა რომ არ მიეცა ქართული ენის დაცვისა და განვითარების მიზნებით მაშინ საქართველოში მიმდინარე და თსუ-დან გადღებული მოძრაობა, დღეს სტუ-ში არ იქნებოდა საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სამთავრობო საბიუჯეტო დაფინანსებით მოქმედებს ქართული და აფხაზური ენების დაცვის და ქართულ - აფხაზური ურთიერთობების აღდგენის მიზნებით! - უფრო დეტალურად იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე განთავსებული მასალის 27-ე - 31-ე გვერდებზე განთავსებული მასალა.

შეუწყობს ქართველებსა და აფხაზებს შორის აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნის გაზიარებას და კიდევ უფრო გააძლიერებს ღონისძიების ინტერდისციპლინურ და ინკლუზიურ ხასიათს; **მეორე ის, რომ** როგორც ეს სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე განთავსებული პროექტის 27-ე - 31-ე გვერდებზეა ხაზგასმული, ქართული სახელმწიფოს მცდელობა ციფრული კვდომის საფრთხისგან დაიცვას აფხაზური ენა ითხოვს ამისთვის საწარმოებელი მათემატიკური და ინჟინრული ხასიათის აფხაზოლოგიურ კვლევებში აფხაზური ენის ბუნებრივად მცოდნე სპეციალისტების ჩართვას, რა მიზნითაც, დიდი ალბათობით, ჩვენ მოგვიწევს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზრუნოთ ამ დარგის ახალგაზრდა აფხაზი სპეციალისტების აღზრდაზე. - უფრო გასაგები რომ იყოს ეს ყველაფერი, ნახეთ რას ამბობს **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე**, 2023 წლის 27 ოქტომბერს, აფხაზური ენის დღეს, ამ დღისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე - „**აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის წინაშეა, ამდენად მისი დაცვა-შენარჩუნება, კონსტიტუციურ ვალდებულებასთან ერთად, აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგების ერთ-ერთ მთავარ მდგენელს წარმოადგენს.**“ - სრულად იხილეთ <https://gtu.ge/News/23645/> მისამართზე.

ამრიგად, დასკვნის სახით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ღონისძიებაში მონაწილე პლენარული მომხსენებლებისა და ლექტორების სამეცნიერო ხარისხი, საერთაშორისო გამოცდილება და თემატური კომპეტენცია სრულად შეესაბამება პროექტის მიზნებსა და ამოცანებს და ქმნის მყარ საფუძველს მაღალი დონის სამეცნიერო დიალოგის, ცოდნის გადაცემისა და ახალი საერთაშორისო თანამშრომლობების ჩამოყალიბებისთვის როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში.

2. ღონისძიების შედეგების მნიშვნელობა

2.1. მოსალოდნელი შედეგების მნიშვნელობა დარგის განვითარებისათვის

წარმოდგენილი ღონისძიების ფარგლებში მიღებული შედეგები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ინტერდისციპლინურ სამეცნიერო სივრცეში ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის, ცოდნის ინჟინერიის, ენობრივი რესურსებისა და ენობრივი ტექნოლოგიების მიმართულებების განვითარებაზე როგორც საზოგადოდ, ისე ქართული და აფხაზური ენების კონტექსტში. ანუ, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ღონისძიება შექმნის პლატფორმას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის გენერირებას, არსებული კვლევების ინტეგრაციას და ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას ქართულ და აფხაზურ ენებთან მიმართებაში.

ასევე, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ღონისძიების შედეგად გაიზრდება ის კვლევითი აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენების ლოგიკასთან, ბუნებრივი ენების დამუშავებასთან, ლოგიკასთან და ენასთან, ენასთან და ავტომატებთან, გამოთვლით ლინგვისტიკასთან, ფორმალურ და სიმბოლურ ლოგიკასთან, ცოდნის ინჟინერიისა და ხელოვნური ინტელექტის სისტემებთან.

ამასთან, ამ ზემოთ ხაზგასმული კვლევების გაძლიერებისას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრობით იმ კვლევებს, რომლებიც მიმართული იქნება ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების განვითარებასა და ქართული და აფხაზური ენების სრული ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიზნების წინ წაწევაზე, რადგან ჩვენი მთავარი მიზანი ისაა, რომ ვუზრუნველყოთ ამ ენების არადაკნინებული ანუ შეუზღუდავი ფუნქციონირება თანამედროვე და მომავლის ციფრულ სამყაროში.

გარდა ამისა, ღონისძიება ხელს შეუწყობს ახალი თეორიული და გამოყენებითი შედეგების წარმოქმნას, მათ შორის ალგორითმული მოდელების, ენობრივი კორპუსების და ინტელექტუალური სისტემების განვითარებას. ეს პროცესები გააძლიერებს ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის ინტერდისციპლინური დარგის მეცნიერულ საფუძველს და შექმნის წინაპირობას, რომ საქართველო

ქართული და აფხაზური ენების შესწავლისა და კვლევის მიზნებით აქტიურად ჩაერთოს გლობალურ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროცესებში.

ასევე, მნიშვნელოვანი შედეგი იქნება ღონისძიებაში ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობა. ეს უზრუნველყოფს დღეს ასე საჭირო ახალი თაობის ფორმირებას ამ ზემოთ უკვე ხაზგასმულ და დღეს მეტად აქტუალურ ლოგიკის, ენის, ხელოვნური ინტელექტის და ცოდნის ინჟინერიის ინტერდისციპლინურ სფეროში, რაც ხელს შეუწყობს დარგის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი ახალი ცოდნისა და ახალი იდეების გენერირებას. ამასთანავე, აქ ცხადია მოსალოდნელია საერთაშორისო თანამშრომლობების გაღრმავება და ახალი კვლევითი პარტნიორობების ჩამოყალიბება, რაც გაზრდის ერთობლივი პროექტების რაოდენობას და ხარისხს. ასევე, ღონისძიების ფარგლებში დამყარებული კავშირები ხელს შეუწყობს აგრეთვე ცოდნის გაცვლას, რესურსების გაზიარებას და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაციას ადგილობრივ ანუ როგორც ქართულ, ისე აფხაზურ კვლევით სივრცეში.

ამგვარად, დასკვნის სახით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიების შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დარგის განვითარებას, გაამდიერებს მის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პოტენციალს და შექმნის საფუძველს მომავალში უფრო მასშტაბური კვლევებისა და ინოვაციების განხორციელებისთვის.

2.2. ღონისძიების მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და გავრცელების მექანიზმები

ღონისძიების ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო მასალების ხელმისაწვდომობა და ფართო გავრცელება წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების გრძელვადიან გამოყენებასა და გავლენას. ამ მიზნით დაგეგმილია როგორც ციფრული, ისე ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მასალების ხელმისაწვდომობას ადგილობრივი და საერთაშორისო აუდიტორიისთვის.

ღონისძიების დასრულების შემდეგ მომზადდება კონფერენციის ნაშრომების კრებული, რომელიც განთავსდება ღია წვდომის ელექტრონულ პლატფორმებზე. ნაშრომები გავრცელდება შესაბამის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში და აკადემიურ ქსელებში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ ხილვადობას და ციტირების პოტენციალს. ღონისძიების მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, შეიქმნება სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც განთავსდება პროგრამა, მოხსენებების ანოტაციები, პრეზენტაციები და ვიდეო ჩანაწერები. ვიდეო მასალები აიტვირთება საჯარო პლატფორმებზე, რაც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს ღონისძიების დასრულების შემდეგაც გაეცნონ წარმოდგენილ თემებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ღია მეცნიერების პრინციპების დაცვას. ღონისძიების ფარგლებში შექმნილი რესურსები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება თავისუფალი გამოყენებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის გავრცელებას, კვლევების გაგრძელებადობას და ახალი ინიციატივების განვითარებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებებისთვის, როგორცაა ენობრივი რესურსები და ტექნოლოგიები და ცოდნის ინჟინერიისა და ხელოვნური ინტელექტის სისტემები, სადაც მონაცემებისა და მოდელების გაზიარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მასალების გავრცელება ასევე განხორციელდება აკადემიური და პროფესიული ქსელების მეშვეობით, მათ შორის უნივერსიტეტების, კვლევითი ცენტრების და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების არხების გამოყენებით. გარდა ამისა, დამატებით, გამოყენებული იქნება სოციალური მედია და სპეციალიზებული სამეცნიერო პლატფორმები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ და ფართო გავრცელებას.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ დაგეგმილი მექანიზმები უზრუნველყოფს ღონისძიების მასალების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, მათ ეფექტურ გავრცელებას და მიღებული შედეგების გრძელვადიან გამოყენებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პროექტის გეგმა-გრაფიკი, ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება იგეგმება GMUS-ის შესაბამის ველებში და წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს.